



განსაკუთრებული
პროფესიული
განათლების
პროექტის
მენეჯერი

პროგრამა „პროფესიული სტანდარტები განათლებაში“

პროფესიული განათლების მასწავლებელთა
პროფესიული განვითარება

2013 წლის

ა ნ გ ა რ ი შ ი

პროგრამების სამსახური
თბილისი
25 დეკემბერი, 2013

პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარება

მიზანი - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებელთა კომპეტენციების ამაღლების და უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, პროფესიული განათლების მასწავლებლების სტანდარტების შესაბამისად;

ამოცანები - პროფესიული სასწავლებლების მასწავლებელთა აკადემიური საჭიროებების სისტემატური გაცნობა, ვიზიტების, სამუშაო შეხვედრების, სემინარების, პროფესიული განვითარების ტრენინგ-კურსების, კონფერენციების ორგანიზება და ჩატარება; საჯარო და კერძო კოლეჯების წარმომადგენელთა თანამშრომლობის ხელშეწყობის ღონისძიებები; თანამშრომლობა პროფესიული განათლების სფეროში ჩართულ სხვა ორგანიზაციებთან

სამიზნე ჯგუფი და ბენეფიციარები - საჯარო პროფესიული/საზოგადოებრივი კოლეჯების მასწავლებლები

განმახორციელებელი ერთეული - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის პროგრამა „პროფესიული სტანდარტები განათლებაში“, პროგრამაში ჩართული თანამშრომლები: ნინო ელბაქიძე - პროგრამების სამსახურის უფროსი (პროგრამის „პროფესიული სტანდარტები განათლებაში“ კოორდინატორი); საბა ჩიხლაძე - ტრენინგების მენეჯერი; ნინო ქებურია - კოორდინატორი.

პარტნიორები - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებები, პროფესიული ასოციაციები, დონორი ორგანიზაციები.

საქართველოს პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიის ერთ-ერთი პრიორიტეტია პროფესიული მასწავლებლის პროფესიის პრესტიჟის ამაღლება, კვალიფიციური პედაგოგიური კადრების მომზადება და მათი უწყვეტი პროფესიული განვითარების შესაძლებლობის უზრუნველყოფა პროფესიული სწავლების სფეროს თანამედროვე მიდგომებისა და უახლესი მიღწევების შესაბამისად.

აღნიშნული სტრატეგიის შესაბამისად, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი პროგრამის „პროფესიული სტანდარტები განათლებაში“ ფარგლებში ბოლო სამი წელია მნიშვნელოვან აქტივობებს ახორციელებს საჯარო პროფესიული კოლეჯების მასწავლებელთა პროფესიული კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობის მიზნით. 2013 წელს პროგრამის ფარგლებში პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიმართულებით დაიგეგმა და განხორციელდა ვიზიტები საჯარო პროფესიულ სასწავლებლებში, სამუშაო შეხვედრები, სემინარები, ტრენინგები, კვლევა, კონფერენციები, საჯარო და კერძო კოლეჯების წარმომადგენელთა თანამშრომლობის ხელშეწყობის ღონისძიებები; უნდა აღინიშნოს ასევე პროფესიული განათლების სფეროში სხვა ორგანიზაციების ეგიდით ჩატარებული მნიშვნელოვანი აქტივობების მხარდაჭერა და მათში აქტიური მონაწილეობა.

1. ტრენინგები

2013 წელს პროგრამის ფარგლებში დაიგეგმა და ჩატარდა ტრენინგები სახელმწიფო პროფესიულ სასწავლებლებში შემდეგი 3 მიმართულებით:

- „ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში“
- „სსსმ სტუდენტთა ინკლუზიური პროფესიული განათლება“
- „შეფასება პროფესიული განათლების სისტემაში“

1.1 „ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში“

ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების თანამედროვე ეტაპზე პროფესიული სასწავლებლების მასწავლებლების მიერ ამ ტექნოლოგიების ფლობისა და სწავლების უნარების განვითარებამ პრიორიტეტული მნიშვნელობა შეიძინა. 2012 წლის განმავლობაში ორგანიზებული იქნა და ჩატარდა ტრენინგ-კურსი საჯარო კოლეჯების მასწავლებელთათვის - „ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში“ (I და II დონე). აღნიშნული ტიპის ტრენინგი დაიგეგმა 2013 წლის ფარგლებშიც.

მარტში, 2013 წ. გამოცხადდა კონკურსი ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწავლების ტრენინგ-მოდულის ავტორისა და ტრენერების შერჩევის მიზნით. კონკურსის წესით შერჩეულ იქნა ტრენინგ-მოდულის ორი ავტორი (მერაბ ლაბაძე, გიორგი ცინცაძე) და 6 ტრენერი (ცირა ბარქაია, დარიკო ნემსვერიძე, ეკა გიგაშვილი, ლევან ღურწყაია, მერაბ აფციაური, ნონა გუმბერიძე).

ტრენინგები ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწავლების მიმართულებით ჩატარდა 16 სახელმწიფო პროფესიულ სასწავლებელში (ტრენინგის ხანგრძლივობა 5 დღე (30 საათი); ტრენინგ-კურსი გაიარა სულ 368 პედაგოგმა.

ტრენინგ-კურსის თემატიკა:

- კომპიუტერი, ინფორმაცია და ოპერაციული სისტემა;
- Microsoft Word 2007;
- PDF ფაილები, Acrobat Reader, ელექტრონული ცხრილები;
- საპრეზენტაციო პროგრამა Microsoft Powerpoint 2007;
- ინტერნეტის რესურსებით სარგებლობა;
- ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში.

ტრენინგის დასასრულს პროფესიული სწავლების მასწავლებლებს ჩაუტარდათ ტესტირება, სულ ტესტირებაზე გამოცხადდა 380 პედაგოგი: თბილისში - 115 პედაგოგი - მათგან ჩააბარა 106-მა პედაგოგმა (92%); რეგიონებში -გამოცხადდა 265 პედაგოგი - მათგან ჩააბარა 230-მა პედაგოგმა (87%). ჯამში ტესტირება წარმატებით გაიარა 336-მა ანუ პროფესიული განათლების მასწავლებელთა დაახლოებით 88%-მა. ტესტირების შედეგების საფუძველზე მასწავლებლები მიიღებენ შესაბამის სერტიფიკატებს.

1.2 „ინკლუზიური პროფესიული განათლება“

საქართველოში პროფესიული განათლების განვითარების თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) სტუდენტთა პროფესიულ განათლებას. ეს თემა სახელმწიფოს მიერ პრიორიტეტად იქნა აღიარებული, ინკლუზიური განათლების პროცესის დაწერგვა საქართველოს პროფესიული განათლების სისტემაში 2013 წლის იანვარში დაიწყო და წარმატებით მიმდინარეობს. ინკლუზიური პროფესიული განათლება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს საშუალებას აძლევს შეიძინონ პროფესია შემდგომი დასაქმებისათვის, რათა გახდნენ კონკურენტუნარიანი შრომის ბაზარზე, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია მათი სრულფასოვანი განვითარებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის თვალსაზრისით.

ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე 2013 წლის პირველ ნახევარში პროგრამის ფარგლებში დაიგეგმა პროფესიული განათლების მასწავლებელთა ტრენინგები სახელმწიფო პროფესიულ სასწავლებლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტთა პროფესიული განათლების სისტემაში ინკლუზიის მიმართულებით.

მარტი, 2013 წ. ჩატარდა კონკურსი შესაბამისი ტრენინგ-მოდულის ავტორისა და ტრენერების შერჩევის მიზნით. კონკურსის შედეგად შერჩეულ იქნა ტრენინგ-მოდულის ავტორი ანა ლალიძე და 4 ტრენერი (ეკა გიგაშვილი, ქეთი ჟვანია, ვახტანგ ნოზაძე, ნონა გუმბერიძე).

ტრენინგები ინკლუზიურ განათლებაში ჩატარდა ამა წლის **მარტიდან ივლისის** ჩათვლით, 17 სახელმწიფო პროფესიულ სასწავლებელში (ტრენინგის ხანგრძლივობა 3 დღე (17 საათი); ტრენინგი გაიარა სულ 424 პედაგოგმა.

ტრენინგის თემატიკა:

- სსსმ სტუდენტთა პროფესიული განათლება; მისი აუცილებლობა და ზეგავლენა სსსმ სტუდენტის მომავალზე;
- სსსმ სტუდენტები და სასწავლო გარემო;
- პროფესიის სასწავლო გეგმა და სსსმ სტუდენტები; პროფესიის სასწავლო გეგმის მოდიფიკაცია;
- სსსმ სტუდენტთა დიპლომი და ატესტაცია;
- სასწავლო პროცესის დაგეგმვა და მომზადება;
- პროფესიის მასწავლებელი და დამხმარე სპეც. მასწავლებელი;
- თანამშრომლობა სამეწარმეო პრაქტიკის და მომავალი დასაქმების პარტნიორებთან;
- სასწავლო პროცესის დაგეგმვის აქტუალური საკითხები;
- სსსმ სტუდენტის სწავლის პროგრესის შეფასება;
- პროფესიული განათლების პროცესში კომუნიკაციის, წერა-კითხვის, ანგარიშისა და პრაქტიკული უნარების სწავლება სსსმ სტუდენტთათვის.
- ინტელექტუალური და ფიზიკური დარღვევის მქონე სტუდენტთა პროფესიული განათლების თავისებურებანი;
- სწავლების სტრატეგიების ადაპტაციისა და მოდიფიკაციის ხერხები;
- სენსორული დარღვევის მქონე სტუდენტთა პროფესიული განათლება;
- მხედველობის დარღვევების მქონე სტუდენტთა პროფესიული განათლება;
- დამხმარე ტექნოლოგიები;
- კომპენსატორული და ფუნქციური უნარების განვითარება;
- ორიენტაცია და მობილობა; სენსორული ეფექტურობა;
- სმენის დარღვევის მქონე სტუდენტთა პროფესიული განათლების ხელშეწყობის ფაქტორები.

1.3 „შეფასება პროფესიული განათლების სისტემაში“

2013 წლის სექტემბრიდან დაიგეგმა პროფესიული განათლების მასწავლებელთა და ადმინისტრაციის თანამშრომელთა ტრენინგი თემაზე - „შეფასება პროფესიული განათლების სისტემაში“. ტრენინგის მიზანს შეადგენდა მასწავლებელთა პროფესიული განვითარება საკუთარი პრაქტიკისა და სტუდენტების შეფასების მეთოდების გაცნობასა და გამოყენებაში; კონსულტირება ახალ, მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით სწავლებაზე გადასვლაში.

სექტემბერი, 2013. გამოცხადდა კონკურსი შესაბამისი ტრენინგ მოდულის ავტორისა და პროფესიული სასწავლებლების მასწავლებელთა ტრენინგების თანამდებობაზე.

ოქტომბერი, 2013. კონკურსის ეტაპების წარმატებით გავლის შედეგად შერჩეული იქნა ტრენინგ-მოდულის ორი ავტორი (ეკატერინე გიგაშვილი და შორენა ჯაფარიძე); და ოთხი ტრენერი (მაია ხურცილავა, კახაბერ ტყემელაშვილი, ნონა ზუმბაძე და ლია გრიგოლია). ტრენინგ მოდულის ავტორების მიერ პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად შემუშავებულ იქნა ტრენინგ-მოდულის პროგრამა.

21-22 ოქტომბერს ჩატარდა ტრენინგის ტრენინგი (ხანგრძლივობა 2 დღე, 10 საათი) და კონსულტაცია გაეწიათ ტრენინგებს ტრენინგის მიმდინარეობისას წარმოქმნილი სხვადასხვა სირთულეების დასაძლევად.

ტრენინგები თემაზე - „შეფასება პროფესიული განათლების სისტემაში“ ჩატარდა ამა წლის 23 ოქტომბრიდან 11 დეკემბრის ჩათვლით 17 სახელმწიფო პროფესიულ/საზოგადოებრივ კოლეჯში; ტრენინგ-მოდულის პროგრამა (5 დღე, 30 საათი) მოიცავდა შეფასებასთან დაკავშირებული საკითხების ფართო თემატიკას; კერძოდ, განხილული იყო პროფესიული განათლების სისტემაში შეფასების პროცესის განხორციელების საკანონმდებლო ბაზა; პროფესიული განათლება გლობალურ ასპექტში და პროფესიული განათლების რე-ფორმირებაში მასწავლებელთა მონაწილეობის მნიშვნელობა; ავტორიზაცია და აკრედიტაცია; პროფესიული კომპეტენციები; პროფესიული სტანდარტი; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დიზაინი და სტრუქტურა; შეფასების არსი და რაობა, შეფასების მიზნები და სქემები; პროფესიული განათლების სისტემის შეფასებისა და ხარისხის განვითარების ევროპული მიდგომები და მექანიზმები. ტრენინგები უზრუნველყოფდნენ ყველა ტრენინგზე მასწავლებელთა დასწრების წერილობით აღრიცხვას; წარმოადგენდნენ ჩატარებული ტრენინგის შესახებ წერილობით ანგარიშსა და დასწრების დამადასტურებელ დოკუმენტებს.

სულ ტრენინგი გაიარა პროფესიული სასწავლებლების 477 პედაგოგმა.

ტრენინგ-მოდულის თემატიკა:

- პროფესიული განათლების მნიშვნელობა გლობალურ სამყაროში;
- OECD (ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია) - მიმოხილვა, ზოგადი კურსი, მოსახლეობის განათლების დონე ევროკავშირის და OECD ქვეყნებში. პროფესიული განათლების მიზნები და ინდიკატორები განვითარებული ქვეყნების მაგალითზე;
- პროფესიული განათლების რეფორმაში მასწავლებელთა მონაწილეობის მნიშვნელობა.

- საქართველოს პროფესიული განათლების გლობალურ კონტექსტში გააზრება. პროფესიული განათლების როლი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. საქართველოს პროფესიულ განათლებაში არსებული პრობლემები და მათი აღმოფხვრის გზები. სახელმწიფო პოლიტიკა პროფესიული განათლების განვითარებისათვის.
- საქართველოს განათლების სისტემა 2013 წელს შეტანილი ცვლილებებამდე და ცვლილებების შემდეგ.
- პროფესიული განათლების შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის მიმოხილვა. პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს გაცნობა და მისი მნიშვნელობა პროფესიული კვალიფიკაციის ფორმირების თვალსაზრისით. პროფესიული განათლების მიღების უფლება. პროფესიული განათლების საფეხურები. პროფესიულ დაწესებულებაში სტუდენტის მიღება და ჩასარიცხად საჭირო დოკუმენტაცია.
- ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განსაზღვრება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმები (შიდა და გარე შეფასებების ანალიზი და ანალიზის საფუძველზე დაგეგმილი ღონისძიებები).
- პროფესიულ განათლებაში არსებული გარე შეფასების მექანიზმების მიმოხილვა - ავტორიზაცია. ავტორიზაციის დებულების მიმოხილვა.
- პროფესიულ განათლებაში არსებული გარე შეფასების მექანიზმების მიმოხილვა - აკრედიტაცია და ამ ინსტრუმენტის გამოყენება ხარისხის გაუმჯობესების კონტექსტში. აკრედიტაციის დებულების მიმოხილვა.
- პროფესიულ განათლებაში არსებული შიდა შეფასების მექანიზმების მიმოხილვა და ამ ინსტრუმენტების გამოყენება ხარისხის გაუმჯობესების კონტექსტში.
- პროფესიული კვალიფიკაციების აღმწერით განსაზღვრული სწავლის შედეგები საფეხურების მიხედვით. კომპეტენციების გამომუშავებისთვის კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩოს გამოყენების მექანიზმების გააზრება.
- პროფესიული სტანდარტების სტრუქტურის გაცნობა და მასწავლებლის როლი სტანდარტით მისაღწევი კომპეტენციების გამომუშავების პროცესში. სწავლის დონეების განსაზღვრა პროფესიულ სტანდარტში. პროფესიული კვალიფიკაციის საფეხურები და თითოეულ საფეხურზე მისაღწევი სწავლის შედეგები.
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა და სილაბუსის დიზაინი და სტრუქტურა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება და სარეკომენდაციო სტრუქტურა.
- მოდულური პროგრამა, მოდულების ტიპები და მოდულური პროგრამების დანერგვის აუცილებლობა.
- შეფასების მიზნების გაცნობა, შეფასების პრინციპების, მნიშვნელობისა და მეთოდების ურთიერთმიმართების კონტექსტი პროფესიული სწავლების მიზნებთან. შეფასების მეთოდები, კრიტერიუმები.
- სტუდენტთა თვითშეფასება და თვითშეფასების მეთოდები.
- პროფესიულ განათლებაში არსებული ნოვაციების გაცნობა, პროფესიული განათლების ხარისხის განვითარების გაუმჯობესების მექანიზმების უახლესი ტენდენციები საქართველოში.
- პროფესიული განათლების სისტემის შეფასებისა და ხარისხის განვითარების ევროპული მიდგომები და მექანიზმები.

2. კონფერენციები

2013 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში ორგანიზებული იქნა პროფესიული სწავლების სფეროს წარმომადგენელთა ორი ეროვნული კონფერენცია - 23-24 მაისს, ქ.ქუთაისში და 26-27 სექტემბერს, ბაკურიანში. კონფერენციების ფარგლებში ხდებოდა განხორციელებული აქტივობების პრეზენტაცია, შედეგების შეჯამება, შეფასება, პრობლემების განხილვა, მოსაზრებათა ურთიერთგაზიარება, საჯარო და კერძო კოლეჯებს შორის, ასევე სფეროში ჩართულ სხვა ორგანიზაციებთან საქმიანი კონტაქტების დამყარება და განმტკიცება, მომავალი ღონისძიებების უფრო ეფექტური დაგეგმვა.

23-24 მაისს, 2013 წ. ქ. ქუთაისში, ჟვანიას სახელობის ევროპულ სკოლაში (მის: ნიკვას ქ. N13) ჩატარდა პროფესიული სასწავლებლების მასწავლებელთა ეროვნული კონფერენცია. კონფერენციას, რომელიც გაგრძელდა ორ დღეს, ესწრებოდნენ პედაგოგები საქართველოს 17 საჯარო პროფესიული კოლეჯიდან.

კონფერენციაზე პროფესიული განათლების პედაგოგებმა პრეზენტაციების სახით წარმოდგინეს თავიანთი სასწავლებლების მიღწევები, სხვადასხვა სასწავლო მიდგომები და სამუშაო მეთოდები და გაუზიარეს კოლეჯებს გამოცდილება, მათ შორის საზღვარგარეთ (ესტონეთი, პოლონეთი, გერმანია) მიღებული გამოცდილება.

კონფერენციაზე განიხილეს პროფესიულ კოლეჯებში მიმდინარე ტრენინგების პროცესი, კერძოდ, ტრენინგები ინკლუზიურ განათლებასა და ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში. ტრენინგებმა და კოსულტანტებმა კონფერენციაზე მონაწილე პედაგოგებს დეტალურად გააცნეს ტრენინგ-მოდულები, ისაუბრეს ტრენინგების მიმდინარეობაზე და უპასუხეს პედაგოგების შეკითხვებს.

კონფერენციაზე ასევე განხილული იყო პროფესიულ სასწავლებლებში არსებული პრობლემები და საკითხები, რომლებიც შეეხება მასწავლებლის პროფესიაში შესვლასა და პროფესიულ განვითარებას. ჯგუფებში მუშაობის შედეგად აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით წარმოდგენილ იქნა ხედვები და რეკომენდაციები ამ პრობლემების დაძლევის კუთხით.

26-27 სექტემბერს ბაკურიანში (სასტუმრო „თბილისი“) გაიმართა პროფესიული სასწავლებლების მასწავლებელთა და პროფესიული სწავლების განვითარების ეროვნული კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდნენ საჯარო და კერძო პროფესიული სასწავლებლების მასწავლებლები, დირექტორები და ადმინისტრაციის თანამშრომლები; ასევე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, გამოცდების ეროვნული ცენტრის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები (80 მონაწილე).

კონფერენციაზე შემუშავებული იქნა რეკომენდაციები პროფესიული სასწავლებლების მასწავლებელთა მომზადებისა და პროფესიული განვითარების სისტემისათვის; კერძოდ: თუ როგორ უნდა მომზადდეს პროფესიული განათლების მასწავლებელი; როგორ უნდა იყოს პროფესიული განათლების მასწავლებლის სამსახურში აყვანის წესი; როგორ უნდა განხორციელდეს მასწავლებელთა პროფესიული ზრდა. შემუშავებული რეკომენდაციები საფუძვლად დაედო შესაბამისი დოკუმენტის - "პროფესიული სასწავლებლების მასწავლებელთა მომზადებისა და პროფესიული ზრდის სქემა" - სამუშაო ვერსიის შედგენას, რომელიც მიწოდებულ იქნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და დაინტერესებული პირებისათვის.

3. სემინარები, სამუშაო შეხვედრები

5 ივლისს 2013 წ. მასწავლებლის სახლში მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და კერძო კოლეჯების ასოციაციის ორგანიზებით გაიმართა კერძო და საჯარო პროფესიული კოლეჯების წარმომადგენლების სამუშაო შეხვედრა (სემინარი) თემაზე: „სილაბუსის შედგენის წესი და ფორმები პროფესიულ განათლებაში“.

სემინარის თემატიკა:

- სილაბუსის არსი და მნიშვნელობა საგანმანათლებლო პროცესში (სამართლებრივი საფუძვლები, დეფინიცია, გამოყენებითი მნიშვნელობა სასწავლებლისათვის, მასწავლებლისათვის, სტუდენტისათვის);
- პროგრამის სწავლის შედეგების გადატანა სილაბუსში (ფორმა, შინაარსი, ტექნიკა);
- როგორ შევავსოთ სტუდენტის ცოდნა და უნარები: შეფასების ადეკვატური მეთოდები; სილაბუსის სტრუქტურა, სილაბუსის კომპონენტები.

პროფესიული სასწავლებლების მასწავლებლებმა წარმოადგინეს სილაბუსების მაგალითები და შეთანხმდნენ სარეკომენდაციო ნიმუშზე. სამუშაო შეხვედრები კერძო და საჯარო კოლეჯებს შორის - მეტად ეფექტურია მათ შორის ურთიერთობების გაღრმავების და გამოცდილების გაზიარების თვალსაზრისით.

დეკემბერი, 2013; ჩატარდა სამუშაო შეხვედრები განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და სხვა დაინტერესებული და პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და ექსპერტებთან ერთად - „პროფესიულ მასწავლებელთა მომზადების, პროფესიაში შესვლისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების კონცეფციის“ პროექტის საბოლოო ვერსიის შემუშავების მიზნით, რომელსაც ხელმძღვანელობს პროგრამის ხელმძღვანელი.

ამ თემის ფარგლებში ამა წლის 4 დეკემბერს პროგრამის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ გორის პროფესიულ კოლეჯ „განთიადში“, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ეგიდით გამართულ სემინარში თემაზე - „პროფესიული განათლების მასწავლებელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და პროფესიაში შესვლის გზების განსაზღვრა“ და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებაში.

4. თანამშრომლობა პროფესიული განათლების სფეროში ჩართულ ორგანიზაციებთან

პროგრამის თემატიკასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან აქტივობათა შორის უნდა აღინიშნოს თანამშრომლობა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან (GIZ), რომლის მხარდაჭერითაც სამხრეთ კავკასიაში ხორციელდება რიგი პროექტები, მათ შორის პროფესიული განათლების სფეროში.

17-19 ივლისს და 14-16 ნოემბერს, 2013 წ. გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება GIZ-ის ინიცირებით და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მხარდაჭერითა და მონაწილეობით პროექტის - „ელექტრონული სწავლების პერსპექტივები პროფესიულ განათლებაში“ ფარგლებში ჩატარდა პროფესიული სისტემის მასწავლებელთა ტრენინგები ელექტრონულ სწავლებაში (E-Learning in VET).

ტრენინგის თემატიკას შეადგენდა: ელექტრონული სწავლების ადგილი პროფესიული განათლების სისტემაში; მისი მიზნებისა და ამოცანების შესაბამისობა პროფესიული განათლების მიზნებსა და ამოცანებთან. პროფესიული განათლებისათვის ელექტრონული სწავლების სარგებელი და გამოწვევები; ელექტრონული სწავლების პერსპექტივები საქართველოს პროფესიული განათლების სისტემაში. პროფესიული განათლების ელექტრონული პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები; ელექტრონული სწავლების ძირითადი პროგრამული ინსტრუმენტების მიმოხილვა და გამოყენება; ელექტრონული სწავლების დიდაქტიკური მეთოდოლოგიის ელემენტები და მათი რეალიზების გზები პროფესიულ განათლებაში. პროფესიული განათლების ელექტრონული პროგრამისათვის სასწავლო მასალის შექმნა. ტუტორობის პროცესი პროფესიული განათლების პედაგოგიური საჭიროებებისა და მიზნების შესაბამისად.

პროფესიული სასწავლებლის პედაგოგები დაეუფლნენ ელექტრონული კურსის შექმნის ტექნოლოგიას, აითვისეს მეთოდოლოგია და თავად შექმნეს საპილოტე პროექტები, რომელთა დანერგვა მოხდა შესაბამის სასწავლებლებში. სხვადასხვა ელექტრონული კურსების შექმნით საინტერესო, თანამედროვე, მრავალფეროვანი და მოთხოვნის შესაბამისი პროფესიული განათლების მიღება შესაძლებელი. ეს პროექტი სამხრეთ კავკასიაში 2008 წლიდან „ინვენტის“, შემდგომ კი GIZ-ის მხარდაჭერით ხორციელდება.

12-13 დეკემბერს, 2013 წ. მასწავლებლის სახლში ჩატარდა შემაჯამებელი ღონისძიება, სადაც გაკეთდა პროექტის შედეგების პრეზენტაცია, ხოლო დასასრულს პროფესიული კოლეჯების 22 წარმომადგენელს გადაეცა **ელექტრონული სწავლების ეროვნული სპეციალისტების სერტიფიკატები.**

სექტემბერ-ნოემბერში (2-3.09; 24-27.09; 15-18.09; 11-13.11.2013 წ.) გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებამ (GIZ) მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მხარდაჭერით და მონაწილეობით ჩატარა სპეციალური ტრენინგ-კურსი პროფესიული სასწავლებლების პედაგოგებისათვის სახელწოდებით - „პროფესიული პედაგოგიკა და დიდაქტიკა - მენტორ მასწავლებელი პროფესიული სასწავლებლებისათვის“. ტრენინგს ესწრებოდნენ თბილისისა და რეგიონების პროფესიული სასწავლებლების პედაგოგები - სულ 24 მომავალი მენტორ-მასწავლებელი, რომლებიც ტრენინგ-კურსის გავლის შედეგად, როგორც ტრენერ-მასწავლებლები, კოლეგებს სწავლების პროცესში დაეხმარებიან.

ტრენინგის თემატიკა მოიცავდა რამდენიმე ძირითად მიმართულებას, კერძოდ: ჯგუფის ხელმძღვანელობის უნარი გაკვეთილზე; მენტორის როლი პროფესიული განათლების სისტემაში; სასწავლო კულტურა; ჯგუფური მუშაობის დაგეგმვა; დიდაქტიკური და ინდუქციური მეთოდების გამოყენება.

14 ნოემბერს, 2013 წ. მასწავლებლის სახლში გამართულ შემაჯამებელ ღონისძიებაზე მათ გადაეცათ შესაბამისი სერტიფიკატები.

5. კვლევები

2013 წლის სექტემბერ-ოქტომბერში, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის პროგრამის - „პროფესიული სტანდარტები განათლებაში“ ფარგლებში ჩატარდა პროფესიული სასწავლებლების პედაგოგთა საჭიროებების კვლევა (კვლევაში ჩართული იყვნენ: ნ. ელბაქიძე, მ არავიაშვილი, ს. ჩიხლაძე, ნ. ჭითავა, გ. ჩხაიძე, თ. ვახტანგაძე). პროფესიული სასწავლებლების პედაგოგთა საჭიროებების გამოვლენის მიზნით სულ გამოიკითხა ყველა სახელმწიფო პროფესიული კოლეჯის 495 მასწავლებელი (კვლევის მეთოდი და ინსტრუმენტი - სატელეფონო გამოკითხვა, კითხვარი). კვლევის შედეგად დადგინდა იქნა მოქმედ მასწავლებელთა რაოდენობა, ასაკობრივი კატეგორიები, კვალიფიკაცია და საგნებთან შესაბამისობა; მასწავლებელთა აკადემიური საჭიროებები; მასწავლებლების მიერ გავლილი ტრენინგების და პროფესიული განვითარების სხვა აქტივობების შინაარსი; მოპოვებული ინფორმაცია და მასწავლებლების მიერ რეკომენდაციების გაზიარება დიდ დახმარებას გაგვიწევს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სამომავლო ტრენინგების დაგეგმვისა და განხორციელების დროს.

დანართი 2

კვლევის შედეგების მოკლე აღწერა:

კვლევის შედეგების მიხედვით დადგინდა იქნა საჯარო პროფესიულ სასწავლებლებში დასაქმებული მასწავლებლების რაოდენობა:


სასწავლებელი	მასწავლებელთა რაოდენობა	%
განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა ემის საზოგადოებრივი კოლეჯი	16	3
იკაროსი	32	7
სპექტრი	40	8
გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი	28	6
მერმისი	46	9
ფაზისი	19	4
თეთნულდი	14	3
ჰორიზონტი	29	6
ოპიზარი	21	4
მოდუსი	20	4
განთიადი	22	4
აისი	33	7
პრესტიჟი	27	5
ბლექსი	45	9
ახალი ტალღა	41	8



იბერია	28	6
ტყიბულის სამთო ტექნოლოგიური ინსტიტუტი	16	3
მესხიას უნივერსიტეტი	18	4

დადგენილ იქნა მოქმედ მასწავლებელთა ასაკობრივი კატეგორიები:

- 20-25 წლის - 10%
- 26-30 წლის - 8%
- 31-35 წლის - 8%
- 36-40 წლის - 8%
- 41- 45 წლის - 12%
- 46-50 წლის - 12%
- 51-55 წლის - 14%
- 56-60 წლის - 12%
- 61-65 წლის - 8%
- 66-70 წლის - 5%
- 70 წელს ზემოთ - 3%




რაც შეეხება მოქმედი მასწავლებლების კვალიფიკაციას, იგი ასეთნაირად გადანაწილდა:

- საშუალო განათლება 1%
- ტექნიკუმი 8%
- უმაღლესი 91


მოქმედ მასწავლებელთა 85% მუშაობს პროფესიით, ხოლო 15% მუშაობს სხვა ანუ არაშესაბამისი პროფესიით.



საჯარო კოლეჯების მოქმედ მასწავლებელთა კვალიფიკაცია



მოქმედ მასწავლებელთა მუშაობის სტაჟი პროფესიულ სასწავლებელში




შეკითხვაზე, რას ისურვებდნენ მასწავლებლები პროფესიული განვითარებისათვის, დაფიქსირდა შემდეგი პასუხები:

- ტრენინგები - 72%
- კურსები - 8%
- გაცვლითი პროგრამები - 5%
- ლიტერატურა და სახელმძღვანელოები - 7%
- პრაქტიკული გამოცდილება - 8%




მუშაობდით თუ არა საღმე, სანამ პროფესიულ სასწავლებელში დაიწყებდით მუშაობას?

■ კი
■ არა




მუშაობის გამოცდილება პროფესიულ სასწავლებელში დასაქმებამდე სამუშაოს ტიპი

■ სწავლება
■ აღმინისტრაცია
■ სერვისი
■ კერძო ბიზნესი



ხომ არ აპირებთ მომავალში პროფესიული სასწავლებლის დატოვებას, ან პროფესიის შეცვლას?

■ დიახ
■ არა



პროფესიული სასწავლებლის დატოვების მიზეზები:

ანაზღაურება 88%

ახალი პროფესია 6%

პასუხის გაცემა გაუჭირდა 6%

6. გამოცდილების გზიარება საერთაშორისო დონეზე

პროფესიული სტანდარტების აქტუალობის დადგენისა და წარმარებული ქვეყნების გამოცდილების გზიარების მიზნით, განხორციელდა ორი სამუშაო ვიზიტი გერმანიაში, ესტონეთსა და შვეიცარიაში. უცხოელ ექსპერტებთან თანამშრომლობით დაიგეგმა სამუშაო ვიზიტები მასწავლებელთა მომზადებისა და პროფესიული განვითარების ორგანიზაციებში. მიღებული გამოცდილება გზიარებული იქნა ცენტრის თანამშრომლებთან სამუშაო შეხვედრებზე.